# შრომითი ხელშეკრულება N17

დლენტეხი

„–01–" „ივლისი–" 2024წ

**მუხლი 1. კონტრაქტის მხარეები და მისი იურდიული სტატუსი:**

1.1 წინამდებარე შრომის ხელშეკრულების (შემდგომში-„ხელშეკრულებას") მხარეები არიან ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში „დამსაქმებელი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი გაზდელიანის სახით და მეორეს მხრივ მოქალაქე: – ცოტნე ქურასბედიანთან (პ/ნ 27001007502) (შემდგომში დამსაქმებელი).

1.2 ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის (შემდგომში „კოდექსი") საფუძველზე და არეგულირებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის წარმოშობილ შრომით და თანმდევ ურთიერთობებს.

1.3 დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

**მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანია მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის ანაზღაურების სანაცვლოდ სამუშაოს შესრულება.

2.2 მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში დასაქმებული შრომით საქმიანობას ახორციელებს ლენტეხის

მუნიციპალიტეტის საკრებულოში , შრომით საქმიანობას განახორციელებს, როგორც მოწვეული სპეციალისტი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.
თანამდებობაზე საკრებულოს დებულების მოთხოვნების შესაბამისად.

**მუხლი 3 დამსაქმებლის უფლება-მოვალეობანი:**

3.1 გააცნოს დასაქმებულს შრომის შინაგანაწესი.

3.2 გადაუხადოს დასაქმებულს შრომის ხელფასი თვეში: 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

3.3 შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითიურთიერთობა.

**მუხლი 4 დასაქმებულის უფლებამოვალეობანი.**

4.1 მოითხოვოს და მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური შრომის ანაზღაურება.

4.2 კეთილსინდისიერად დროულად და საკუთარი პასუხისმგებლობით შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუსაო, ასევე დამსაქმებლის მოთხოვნები მითითებები და დირექტივები (ზეპირი ან წერილობითი) თუ ისინი არ ეწინაარმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

**მუხლი 5 ხელშეკრულების ვადა**

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2024 წლის „01" „ივლისიდან "- დან და მოქმედებს 2024 წლის „31" „დეკემბრამდე".

5.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია დამსაქმებლის ბრძანებით. დასაქმებულის თანხმობა შრომითი ურთიერთობის ვადის გაგრძელებაზე დასტურდება ხელმოწერით.

**მუხლი 6 დასკვნითი დებულებები.**

6.1 ხელშეკრულება გაფორმებულია ორ ეგზემპლიარად ერთი ინახება დამსაქმებელთან, მეორე დასაქმებულთან. ორივე ეგზემპლიარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

6.2 ქვემორე ხელისმომწერი მხარეები ადასტურებენ თანხმობებს წინამდებარე ხელშეკრულების შინაარსზე.

**დ ა მ ს ა ქ მ ე ბ ე ლ ი** **დ ა ს ა ქ მ ე ბ უ ლ ი**

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**თავმჯდომარე /გ. გაზდელიანი/**